პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

20 აგვისტო
შაბათი,
1963 წ.
№ 164 (2269)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბოლოო შედეგები

		ნ	კ	მ	სქ
მოსკოვი	—	344	81	147,5	572,5
უკრაინა	—	331	80	155	566
რსფსრ	—	337,5	72	135	544,5
ლენინგრადი	—	288,5	66	122	476,5
საქართველო	—	248,5	56	134,5	439
ბელორუსია	—	224	54	103,5	381,5
ლიტვა	—	173,5	45	106,5	325
ესტონეთი	—	206	47	68	321
აზერბაიჯანი	—	182	49	87	318
ლატვია	—	193	25	85	303
უზბეკეთი	—	185	39	77	301
ყაზახეთი	—	163	40	60	263
სომხეთი	—	136	22	81	239
მოლდავეთი	—	129	15	59	203
ყირგიზეთი	—	98	37	50	185
ტაჯიკეთი	—	80	22	35	137
თურქმენეთი	—	77	15	23	115

შენიშვნა: „ნ“ — ნაკრები გუნდების ქულები, „კ“ — საწარმოთა კოლექტივების ქულები, — „მ“ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მოპოვებული ქულები, „სქ“ — საერთო ქულათა ჯამი.

ხალხთა სპარტაკიადაზე ორმა მოცურავემ, მოსკოველმა ს. ბელიც-გეიმანმა და ვოლგოგრადელმა პ. პიკალოვმა გააუმჯობესეს საკავშირო რეკორდები, პირველმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით აჩვენა 9.27,9, ხოლო მეორემ — 1500 მ გაცურა 17.44,8-ში.

სურათზე: ს. ბელიც-გეიმანი (მარჯვნივ) და პ. პიკალოვი.

დიდი შეჯიბრების უკანასკნელი აკორდი

17 აგვისტოს „დაეცა“ დედაქალაქის ყველა სპორტული ბაზა და მხოლოდ ვეებერთელა სპორტული ქალაქის უკიდურესი სამხრეთის ნაწილი ცხოვრობდა თავის მღელვარე ცხოვრებით. იმ დროს, როდესაც მოსკოვის საჰაერო და რკინიგზის სადგურებმა შორეული გზა დაულოცეს ჩამოსულ სტუმრებს, იმ დროს, როდესაც სპარტაკიადის მონაწილენი ასეული კილომეტრებით დაშორდნენ დედაქალაქს, აქ, ლუჟნიკის ჩოგბურთის კორტებზე ბრძოლის სიმძაფრემ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

— არასდროს, არც ერთ ჩემპიონატს არ ჰქონდა ისეთი საინტერესო დაბოლოება, როგორც წლევანდელს, — განაცხადა ჩვენთან საუბარში წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ოზეროვმა. ფინალური შეხვედრის დაწყებამდე ჯერ კიდევ კარგა ხანი იყო დარჩენილი და ჩვენც სეტყვასავით დავაყარეთ შეკითხვები ვეტერანს.

პირველივე პასუხიდანვე ცხადი გახდა, რომ მისი სიმპათიები მეტრეველის მხარეს იყო.

— ვერ წარმოიდგენთ, რა რთულ და ძნელ პირობებში უხდება გამოსვლა მეტრეველს,—განაცხადა მან. — ხან ერთი შეჯიბრება, ხან მეორე, ხან ერთი ქვეყანა, ხან მეორე. ჯერ უბრალო ტურისტულ მოგზაურობაშიც კი დაიღლებოდა ადამიანი ამგვარად. მას კი თითქმის ყოველდღე, საშუალოდ 5 საათი უხდება ყოფნა კორტებზე. არა, ალექსანდრე ნამდვილად გმირია და მე გულწრფელად გამიხარდება თუ იგი მოიგებს ფინალურ ბრძოლას ლეიუსთან. ისე კი, გეტყვით საიდუმლოებას, დღეს თუ ხვალ იგი აუცილებლად დადგება კვარცხლბეკზე არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ... — ოზეროვმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. — ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ასე ფიქრობენ საკმაოდ კომპეტენტური სპეციალისტებიც.

სიმპათიები სიმპათიებად დარჩეს, მაგრამ ამ გამოცდილი სპორტსმენის და უდავოდ გულისხმიერი ადამიანის სიტყვები გვენიშნა. უკანასკნელ დღეებში ალექსანდრე მართლაც ოდნავ დაღლილი ჩანდა. თუმცა იგი თავის თავს არ უტყდებოდა ამაში. ა. პოტანინთან და რ. სივოხინთან უკანასკნელმა გამარჯვებებმა მას გარკვეული დაღი დაატყო. ხუმრობა ხომ არ არის, სულ რაღაც 48 საათში გატეხო საბჭოთა კავშირის ორი ჩემპიონის წინააღმდეგობა. გარდა ამისა, ასეთი სახის გამომცდელები არასდროს გამოცდიან იოლად ახალგაზრდას: ასე, რომ ფინალის გზა მეტრეველისათვის რთული და ამავე დროს საპატიო იყო. მეორე მხრივ მისმა მეტოქემ გამოცდილმა, ჭკვიანმა და აუღელვებელმა მებრძოლმა ლეიუსმა უკვე კარგა ხანია, რაც მოიპოვა ესტონეთის ჩემპიონის წოდება. ამის შემდეგ იგი ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყოფილა გამარჯვებული, მაგრამ ესტონეთის ჩემპიონის ტიტულს ვერც ერთხელ ვერ დაუმატა მეორე, უფრო საპატიო და სახელო ტიტული—საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა. ლეიუსი საკავშირო ჩემპიონატის ფინალის ხშირი მონაწილეა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის № 1-მა ჩოგბურთელმა ვერასოდეს ვერ გადალახა ვერც მ. მოზერის, ვერც რ. სივოხინის და ვერც ა. პოტანინის წინააღმდეგობა. იგი, როგორც წესი, სისტემატურად აგებდა მათთან ფინალს.

— თ. ლეიუსს კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება გახდეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თუ მან ეს საშუალება ვერ გამოიყენა, გაისად არა მგონია, რომ დააცადოს მას მეტრეველმა, — თქვა თამაშის წინ საბჭოთა ჩოგბურთის მეორე ვეტერანმა და ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა ლენინგრადელმა ე. ნეგრებეცკიმ.

და აი, ზუსტად 1-ლ საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით, ჩოგბურთის სტადიონის ცენტრალურ მოედანზე ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი სხვადასხვა ასაკის და სხვადასხვა სტილის მოწინააღმდეგე, ორივე გამარჯვების სურვილით გამსჭვალული და ორივე ჩემპიონის ოქროს მედლის ღირსეული პრეტენდენტი.

უკვე პირველსავე პარტიამ ცხადყო, რომ ფინალისტები იოლად არ დათმობდნენ არც ერთ ქულას. ინიციატივა თავიდან ხელთ იგდო მეტრეველმა — 1:0, 2:0, 3:0. ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ სამ გეიმში აჩვენა ბრწყინვალე ტექნიკა, მოქნილი ტაქტიკური აზროვნება. ლეიუსი მიჯაჭვული იყო მოედნის უკანა ხაზზე, საიდანაც ვერც ერთხელ ვერ შეძლო თავის დაღწევა. ბადესთან გამოსვლის რამდენიმე ცდა მეტრეველმა გრძელი, გვერდითი დარტყმებით მოუსპო. მაშინ ესტონელმა შეცვალა ტაქტიკა, მიიღო რა მხედველობაში მოწინააღმდეგის ახალგაზრდული ბუნება, ლეიუსმა პასიური ბრძოლის გზა აირჩია. მისი მიზანი აშკარა იყო. მეტრეველი ვერ გაუძლებდა ასეთ მდორე თამაშს, გასწევდა გარკვეულ რისკს და ბუნებრივია, დაუშვებდა შეცდომებს. ასეც მოხდა. რამდენიმე არაზუსტი მოწოდება, ბადესთან უდროო გასვლა და ანგარიში მოულოდნელად გათანაბრდა—4:4. სულ მალე სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა—5:5-ს. შემდეგ მეტრეველი კვლავ წინაა—6:5. ლეიუსი პოულობს ძალებს საკუთარ თავში და იგებს გეიმს. კვლავ ფრე — 6:6. მანამდე ის, ვინც აწოლიბდა — იგებდა და აი მეტრეველმა ზედიზედ ორი მოწოდება გააფუჭა და წააგო გეიმი (6:7). წინ უკვე ლეიუსია. ძალების უკანასკნელი დაძაბვა, უკანასკნელი შეტევა და პირველი პარტია ესტონელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ თავდება — 8:6. მართალია, პირველმა ლეიუსმა გადადგა ნაბიჯი გამარჯვებისაკენ, მაგრამ საერთო აზრით დამარცხებულის თამაში უფრო მოსაწონი და აზრიანი იყო.

შესაძლებელი რომ იყოს ოვაციათა რაოდენობის განსაზღვრა, უპირატესობა აქაც მეტრეველის მხარეს იქნებოდა. ნაკურებელი, რომ სუსტს უჭერს მხარს, ეს გასაგებია, მაგრამ დამარცხებულის თამაშსაც თუ შეიძლებოდა მოეხდინა ასეთი ეფექტი, წარმოუდგენელი იყო. მეორე პარტიაში წინ კვლავ მეტრეველია — 1:0, 2:0 და ისევ ლეიუსი ეწევა წინ წასულს — 2:2. ესტონელი დამაჯერებლად ატარებს დარჩენილ გეიმებს და იგებს პარტიას ანგარიშით 6:2. ახალგაზრდა ჩოგბურთელი ახალი გამოცდის წინაშე დადგა. შეძლებს თუ არა იგი ძალების მობილიზაციას ამ კრიტიკულ მომენტში. აი რა აინტერესებთ უკვე ჩოგბურთის სპეციალისტებს. მეტრეველმა ბრწყინვალე სტილში მოუგო მესამე პარტია — 6:4 და მხოლოდ მეოთხე პარტიაში გახდა ცხადი, რომ გამოცდილება მაინც ბევრს ნიშნავს. დასაწყისში ინიციატივა (უკვე მერამდენედ) ქართველი ოსტატის მხარეს არის — 1:0, 1:1, 2:1, 2:2. აი სწორედ ამ გეიმმა გასტეხა მეტრეველის ნებისყოფა. რვაჯერ გაათანაბრა მან ანგარიში და 4-ჯერ მხოლოდ ერთი დარტყმა აშორებდა მას გამარჯვებისაგან, მაგრამ ლეიუსმა გაათანაბრა შედეგი. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი მის წარმატებაში. მეტრეველის ახალგაზრდულმა ხასიათმა თავი ფინიშზე იჩინა, იგი შესამჩნევად ანერვიულდა და ფაქტიურად შეწყვიტა ბრძოლა — 6:2. ასეთია გადამწყვეტი პარტიის ანგარიში, რომელმაც სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოუტანა ლეიუსს.

ჩვენ მხოლოდ ბრძოლის დამთავრების შემდეგ ვიგრძენით თუ რამდენად იყო დაძაბული გარეგნულად მშვიდი ესტონელი. იგი ბავშვური სიხარულით გამოქანდა მოედნის შუაგულისაკენ, გადაახტა ბადეს, აკოცა მეტოქეს. ბედნიერი და დაბნეული სახით ლეიუსი დიდხანს უკრავდა ტაშს საკუთარ თავს. უკვე დამშვიდებულმა, კორესპონდენტებს ასეთი რამ განუცხადა: „მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ გამემარჯვა. შეხვედრის დაწყების წინ კი ამის იმედი არ მქონდა“.

ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი სპორტული მეტოქეები ი. ერმოლოვა და ა. დმიტრიევა (მოსკოვი). უპირატესობა აქ ბრძოლის პირველი წუთიდან უკანასკნელამდე მოსკოველის მხარეს იყო, რომელმაც მოიპოვა კიდეც გამარჯვება — 2:0 (6:3, 6:2). დმიტრიევა გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი ქალთა შორის. ი. ერმოლოვას გადაეცა ვერცხლის მედალი.

ვაჟთა წყვილებიდან ფინალში გავიდნენ ნ. მძინარიშვილი-ს. მეტრეველი და ს. ლიხაჩოვი-თ. ლეიუსი. გამარჯვება ანგარიშით 3:0 (6:4, 6:4, 6:0), წილად ხვდათ უკანასკნელებს. ა. დმიტრიევა-გ. ბაკშეევას წყვილმა ფინალში დაამარცხა ი. ერმოლოვა-ვ. ტრომშკინას წყვილი — 2:0 (6:2, 6:1). თ. ლეიუსმა და გ. ბაკშეევამ პირველი ადგილი აიღეს შერეულ წყვილთა შეხვედრაში, მოუგეს რა უკრაინელებს — მ. მოზერსა და ვ. ტიტოვას.

უ. ჯაფარიძე,
ნ. ბუბუშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

სპარტაკიადა III სპარტაკიადა

ანკეტებიდან

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალი საბჭოთა სპორტის დიდი ზეიმი იყო. საინტერესო და ყურადსაღებია სპარტაკიადის ანკეტური მონაცემები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში სულ სტარტი აიღო 7518-მა სპორტსმენმა. მათ შორის 5475 ვაჟი და 2043 ქალია.

ფინალურ ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელმა, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ.

სპარტაკიადის მონაწილეთა შორის 2000-ზე მეტ სპორტსმენს უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო 4000-ს — საშუალო განათლება. უმაღლესი ფიზკულტურული განათლებით 1250-ზე მეტი კაცია, ხოლო საშუალო ფიზკულტურული განათლებით კი 500-მდე სპორტსმენია.

მოსკოვში ფინალურ შეჯიბრებებზე ჩამოვიდა 880 კომუნისტი და 4000-ზე მეტი კომკავშირელი.

სურათზე: საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი (თავისუფალი ჭიდაობა) ზ. შეყრილაძე (ზემოდან), რომელმაც III სპარტაკიადაზე თავის წონაში მესამე ადგილი დაიკავა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



თასი შვეიცარიიდან

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალში საწარმოო კოლექტივებს შორის წარმატებით გამოვიდნენ თბილისის სპორტკლუბ „სინათლის“ ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც ბრწყინვალედ ჩააბარეს ძნელი გამოცდა. ვაჟთა და ქალთა კოლექტივებმა საერთო ჩათვლაში 599,91 ქულა მოაგროვეს და ჩემპიონობა დაისაკუთრეს, რითაც საქართველოს დელეგაციის აქტივს მაქსიმუმი — 17 ქულა შემატეს.

ამ გამარჯვებისათვის „სინათლის“ კოლექტივმა დაიმსახურა სპარტაკიადის დიდი ბროლის თასი. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი ჯილდო. შეჯიბრებაზე გამარჯვებულის დასაჯილდოებლად შვეიცარიის მუშა-ტანმოვარჯიშეთა კავშირმა დააწესა სპეციალური ჯილდო, რომელსაც აწერია „საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე საწარმოთა შორის გამარჯვებულ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივს — ჟენევა“. ეს თასიც თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ტანმოვარჯიშეებს დარჩათ.

თბილისელ ტრანსპორტელთა ფიზკულტურული კოლექტივი კარგი ტრადიციების მქონეა. აქ სპორტში გაერთიანებული 5 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე წინსვლის შესანიშნავ გარანტიას იძლევა, კოლექტივის რიგებში 54 ოსტატი და 72 პირველთანრიგოსანია. ამ გამოცდილ კოლექტივს წინათაც უსახელებია თავი შეჯიბრებებში. ამას ადასტურებს ასობით ვიმპელი, დიპლომი და სიგელი.

„სინათლის“ ტანმოვარჯიშეთა იმ კოლექტივს, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა მოსკოვში, წინ აქვს წრთობისა და შემოქმედების დიდი გზა და გვჯერა, აქაური სპორტსმენები არც შემდეგში უღალატებენ ტრადიციებს.

სპარტაკიადაზე ძალებს ცდიდნენ „სინათლის“ მძლეოსნებიც. ვაჟებმა მოიპოვეს მე-7 ადგილი, ქალებმა — მე-11 ადგილი და საერთო ჩათვლაში მე-9 ადგილით დაკმაყოფილდნენ.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — „სინათლის“ ტანმოვარჯიშეების მიერ სპარტაკიადაზე მოპოვებული ჯილდოები — ბროლის დიდი თასი (მარჯვნივ) და შვეიცარიის მუშა-ტანმოვარჯიშეთა პრიზი. მარჯვნივ — საკავშირო სპორტკავშირის დიპლომი პირველი ადგილისათვის.



ЦЕНТРАЛЬНЫЙ СОВЕТ
СОЮЗА СПОРТИВНЫХ ОБЩЕСТВ
И ОРГАНИЗАЦИЙ СССР
награждает

ДИПЛОМ
ЧЕМПИОНА СССР

სპარტაკიადა III სპარტაკიადა



იყო... არის...



ბახუსი მოერია ჭადრაკს...

გუდაუთაში ჭადრაკს ბევრი მოყვარული ჰყავს. მათი თაოსნობით საზოგადოებრივ საწყისებზე საკურორტო ქალაქში გაიხსნა ჭადრაკის კლუბი, რომელსაც მალე გამოუჩნდნენ მეგობრები, მუდმივი სტუმრები. მათს შორის ნახავდით გუდაუთაში დასასვენებლად ჩამოსულ ოსტატებსაც.

კლუბის საქმიანობას ტონს აძლევდნენ ენთუზიასტები, მაგალითად, სოფელ აბგარხუკის საშუალო სკოლის მასწავლებელ ვ. კაკაბაძის ხუთი თანრიგოსანი შვილი და პენსიონერი პ. ივანოვი, რომელმაც თავისი ინიციატივით იკისრა კლუბის ხელმძღვანელობა. რაიონის სპორტის მესვეურებმა ხელი შეუწყეს აქტივისტებს და კლუბს გადასცეს სათამაშო მაგიდები, ჭადრაკის კომპლექტები, საათები, სადემონსტრაციო დაფა. უნდა გენახათ რა ხალისიანი მუშაობა გაჩაღდა კლუბში. საღამოობით აქ ტევა არ იყო, ხშირად იმართებოდა ტურნირები, შეხვედრები.

გუდაუთელ მოჭადრაკეებს შესანიშნავი მომავალი ესახებოდათ, მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ერთ დღეს „აფხაზკურორტვაჭრობამ“ ძალით მიისაკუთრა კლუბი, რომლის ინვენტარი სახლში გაუგზავნა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს გ. პატხვარიას, და აქ ღვინის მაღაზია გახსნა.

უკვე მესამე თვეა გუდაუთაში ჩაკვდა საჭადრაკო ცხოვრება. ეს დაემთხვა საკურორტო სეზონს, როცა ქალაქი მასპინძლობს ჭადრაკის ბევრ მოყვარულსაც.

კაცმა რომ თქვას, გუდაუთას არ აკლია მაგარი სასმელების მაღაზიები. ამას ადვილად შეამჩნევთ ქალაქში, სადაც არაიშვიათია ლოთობით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები.

საკითხავია, როგორ მოხდა „აფხაზკურორტვაჭრობისათვის“ კლუბის გადაცემა? ფიქრობენ, რომ თუ გუდაუთის ხელმძღვანელი მუშაკების ხელშეწყობით არა, წაყრუებით მაინც. გუდაუთში ჭადრაკს ბახუსი მოერია.

ვფიქრობთ, რომ ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ იმსჯელებენ აფხაზეთში და მოჭადრაკეებს თავიანთ კლუბს დაუბრუნებენ.

თ. სანდერაშვილი

სპორტულ საღამოზე

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში მოეწყო მეჩაიეთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული საღამო. ასწლოვანი მუხის ჩრდილში მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე პირველად მოჭიდავეები გამოვიდნენ. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მაღლაკელი, გეგუთელი, გვიშტიბელი და ფარცხანაყანეველი ახალგაზრდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ გ. გუდაძე (მაღლაკი), შ. კუხიანიძე (მაღლაკი), ა. მაჩალაძე (გეგუთი), რ. გაბოკიძე (გვიშტიბი), ჯ. ლაჭავა (მაღლაკი), გ. ცანავა (გვიშტიბი) და ნ. გუბელაძე (ფარცხანაყანევი).

ჭიდაობის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა ფრენბურთის მოედანზე გადაინაცვლეს. აქ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ძველი მეტოქეები — გეგუთის საბჭოთა მეურნეობისა და მაღლაკის ნაკრები გუნდები.

პირველი პარტია სტუმრებმა მოიგეს, მაგრამ დანარჩენ პარტიებში მაღლაკელთა უპირატესობა აშკარა იყო — 3:1.

მ. კანკაძე

ჯილდო ღირსეულთ

ლენინის ორდენოსან სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ 40 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ ნიშნით:

გ. ავალიშვილი, ი. ალექსეევი, გ. ანდრიასოვი, ტ. არუთინიანი, ი. ბობოხიძე, ვ. ბუხნიკაშვილი, ჰ. ვენგერი, ვ. ვუიჩიკი, გ. ვართანოვი, გ. გაგუა, ვ. გოგლიძე, გ. გოლოვინი, ი. გალოგრე, ბ. ევგრაფოვი, გ. ზაბოლოტნი, კ. იოგანი, ა. კალინინი, ს. კაზარიანი, ა. კარპოვი, ნ. კაკულიდი, გ. მამარდაშვილი, ნ. მანჯგალაძე, ვ. მათეიშვილი, ო. მდივანი, კ. მინაევა, ვ. ნახაპეტოვი, ვ. როგავა, მ. რომანენკო, ა. სადომოვი, ა. სარქისოვი, თ. სისორდია, ვ. ოელია, მ. თიკანაძე, გ. ურუშაძე, ს. ტაკმაზიანი, პ. ტერეხოვი, თ. ტროფიმოვა, ა. ფინენკო, ვ. ცაგარეიშვილი, გ. ჩისტილინი, გ. ჩიტიძე, თ. ყიფიანი.

ცენტრალური საბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ე. აკოფოვა, ი. ბექანოვა, ა. დიდებულიძე, გ. დიდებულიძე, შ. კოდუა, ი. კრაპივჩენკო, ა. კუკანოვა, კ. მაზუროკი, ა. ნიკოლაიშვილი, ა. ნონიკაშვილი, ლ. სენკოვი, ა. შელევიცკი, ტ. ქოროღლიანი.

ლიდერი დამარცხებულია

ახლა, როცა ეს უაღრესად ძნელი მატჩი მოსკოვის „დინამოსთან" დამთავრებულია და დამთავრებულია ბრწყინვალე გამარჯვებით, თვალწინ კიდევ ერთხელ სრული სიცხადით წარმოგვიდგება განვლილი მატჩის პერიპეტიები. ჩვენმა გუნდმა შესანიშნავად ჩაატარა თამაში, სრულიად უმნიშვნელო დეტალებიც კი ზუსტად დაგეგმა და ეს გეგმა საუცხოოდ განახორციელა მინდორზე გათამაშების ლიდერის წინააღმდეგ ბრძოლისას. მოსკოვის სტადიონების ტრიბუნებზე ახლა უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა შეხედულება, რომ ქუთაისის „ტორპედო" მოსკოვის გუნდების რისხვას წარმოადგენს მათივე მინდორზე. გადაავლეთ თვალი ქუთაისელთა მიერ ჩატარებულ მატჩებს დედაქალაქში, მათ მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს და დარწმუნდებით მოსკოველი ფეხბურთის მოყვარულთა ამ ახალი ანდაზის სისწორეში.

ლიდერმა მატჩი დაიწყო ისე, როგორც ეს მის მაღალ წოდებას შეეფერებოდა: გუნდი თამაშობდა დამაჯერებლად, მოკლე, ზუსტი გადაცემებით მინდვრის შუაგულში. დინამოელებს წინა ხაზზე დატოვებული ჰყავდათ 4 ფორვარდი და აშკარად იგრძნობოდა საერთო ჩანაფიქრი: სადებიუტო ნაწილის შემდეგ ინიციატივა ხელთ უნდა აეღოთ მასპინძლებს, ამას უნდა მოჰყოლოდა საგოლო მომენტები მოწინააღმდეგის კართან, რომელთაგან გარკვეული რაოდენობა შედეგით უნდა დამთავრებულიყო. ეტყობოდა, რომ „დინამოს" არ ეშინოდა საკუთარი კარისა, ვინაიდან მას იცავდა თვით იაშინი და უაღრესად ძლიერი, შეთამაშებული დაცვა.

როგორც ზევით ვთქვით, ქუთაისელებმა ძალზე ზუსტად დაგეგმეს თავიანთი თამაში. 4 მცველი და 3 ნახევარმცველი უკიდურესი ყურადღებით მოქმედებდა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. ამ ხაზების მოთამაშეები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ არ დაეშვათ შეცდომა. შემთხვევითობას აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

და მართლაც, ქუთაისელთა დაცვის მთელი მექანიზმი ამ დღეს უშეცდომოდ თამაშობდა, ხოლო რაც შეეხება ფორვარდებთან ურთიერთმოქმედებას, ესეც რაციონალურად იყო მოფიქრებული. თავდასხმაში დარჩენილ ხაყალიას, სირაძესა და ჩხარტიშვილს მოდიოდათ გრძელი გადაცემები, რათა შეტევა უეცარი, სწრაფი და მწვავე ყოფილიყო.

მოსკოველთაგან ყველაზე სახიფათო იყო კოროლენკოვი. მე-11 წუთზე მან სწრაფი კომბინაცია გაითამაშა გუსაროვთან და როცა ურუშაძე წინ გამოვიდა, ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ მეკარის ადგილი სამმა ტორპედოელმა მცველმა დაიკავა და ბურთი მოგერიებულ იქნა.

მეორე ტაიმში იგივე კოროლენკოვი თითქმის ცარიელი კარის წინ დარჩა, მაგრამ ისე არაზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა, რომ სამართლიანად დაიმსახურა ტრიბუნების სტვენა.

ქუთაისელებს თამაშის გეგმა არ შეუცვლიათ მეორე ტაიმშიც. დაცვა მოქმედებდა სრული დატვირთვით, ყურადღებით, ხოლო თავდამსხმელები ყოველ ხელსაყრელ მომენტში ღებულობდნენ შორეულ გადაცემებს იერიშის დასაწყებად. ასეთი ტიპიური კომბინაცია იქნა განხორციელებული მე-13 წუთზე: ხაყალიამ მიიღო გადაცემა, გავიდა თავის ფლანგზე და ზუსტად ჩააწოდა ცენტრში. აქ სწრაფად გადმოინაცვლა სიამაშვილმა და 25 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარის მაღალ კუთხეში. იაშინი არც განძრეულა. — 1:0.

გატანილმა გოლმა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიტანა ქუთაისელთა რიგებში. მე-20 წუთზე „დინამოს" კართან შეიქმნა არეულობა და ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ძელს. იაშინი გადარჩა მეორე გოლს.

მატჩის დასასრულს ლიდერმა მთელი თავისი ძალები გადაისროლა შეტევაში. ეს იყო მძიმე წუთები ქუთაისელთათვის, მაგრამ მათ ღირსეულად გაუძლეს ამ განსაცდელს. ჩხარტიშვილის ნაცვლად მინდორზე გამოყვანილ იქნა ხუნდაძე, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა გუნდის დაცვისუნარიანობა. ქუთაისელებმა მეთოდური თამაშით შეინარჩუნეს სიამაშვილის მიერ გატანილი გოლი. ეს გამარჯვება ჩემპიონატის ლიდერზე ქუთაისელ ფეხბურთელთა ბრწყინვალე წარმატებაა.

ნ. ახვლედიანი,
ჩვენი სპეც. კორ.

მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 18 აგვისტო.

„დინამო" (მოსკოვი)-„ტორპედო" (ქუთაისი) — 0:1 (0:0).

„ტორპედო": ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი, მუმლაძე, ნიშნიანიძე, ხაყალია, კუტივაძე, სირაძე, სიამაშვილი, ჩხარტიშვილი (ხუნდაძე).

„დინამო": იაშინი, კესარევი, რიაბოვი, მუდრიკი, მასლოვი, ცარევი, ჩისლენკო, ვშივცევი (ნიკოლაევი), გუსაროვი, კოროლენკოვი, ფადეევი.

მსაჯი ა. ტოლჩინსკი (ალმა-ატა).

★

• • •

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აგვისტოსათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო" (მოსკოვი)	19	10	7	2	20—6	27
„დინამო" (თბილისი)	19	10	6	3	33—18	26
„ზენიტი" (ლენინგრადი)	20	9	8	3	29—19	26
ს კ ა (როსტოვი)	19	9	6	4	30—15	24
„სპარტაკი" (მოსკოვი)	19	11	2	6	34—21	24
„დინამო" (მინსკი)	19	8	8	3	26—16	24
ც ს კ ა	19	7	10	2	14—7	24
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	19	9	4	6	26—21	22
„ტორპედო" (ქუთაისი)	19	6	10	3	13—10	22
„დინამო" (კიევი)	19	8	5	6	33—27	21
„შახტიორი" (დონეცკი)	19	6	8	5	12—13	20
„ტორპედო" (მოსკოვი)	19	6	7	6	24—21	19
„კაირატი" (ალმა-ატა)	19	7	4	8	16—22	18
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	19	3	9	7	17—23	15
„ავანგარდი" (ხარკოვი)	20	5	5	10	13—29	15
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	19	5	4	10	20—25	14
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	19	3	8	8	14—25	14
„არარატი" (ერევანი)	20	5	3	12	20—31	13
„დინამო" (ლენინგრადი)	20	0	9	11	12—31	9
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	19	1	5	13	13—39	7

• • •

დაიწყო მეორე წრის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის გუნდები: „ზენიტი" და „დინამო". თანამოქალაქეთა მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

18 აგვისტოს ხარკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „ავანგარდი" და ერევნის „არარატი". თამაში დამთავრდა „ავანგარდის" გამარჯვებით—1:0.

ორი ქულა აღებულია ბაქოში

ტელევიზიამ თბილისში მოიტანა ის მატჩი, რომელიც არ შემდგარა ჩვენს სტადიონზე. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტელევიზიის მუშაკებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებს ენახათ მატჩი საკავშირო პირველობაზე ბაქოს „ნეფტიანიკსა" და თბილისის „დინამოს" შორის. ეს პირველი ცდა წარმატებით დამთავრდა და იგი გარანტიას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალშიც ვნახავთ თამაშებს, რომელთა შესახებ წარმოდგენა გვქონდა მხოლოდ დიქტორის შორეული გადაცემისა ან ძუნწი სარეპორტიორო ანგარიშის მიხედვით.

გუშინდელ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო დინამოელთათვის, არამედ ქუთაისელთათვისაც. მისი შედეგი უშუალოდ იწერებოდა „დინამოს" „შემოსაკალ-გასავალში", მაგრამ ამავე დროს საგრძნობ გავლენას ახდენდა ქუთაისის „ტორპედოს" მდგომარეობაზეც გათამაშების ცხრილში. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა ინტერესით ადევნებდნენ თვალს ჩვენს რესპუბლიკაში მატჩს თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფტიანიკს" შორის.

თბილისელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს თამაში და უკვე მე-7 წუთზე „ნეფტიანიკის" მეკარე შეხოვი იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა ბურთი. ეს იყო იამანიძე-კალოევის მიერ გათამაშებული კომბინაცია, რომელიც თბილისელთა ცენტრალურმა ფორვარდმა დაამთავრა ზუსტი დარტყმით — 1:0.

ტაიმის დასასრულს ბარქაიამ დაკარგა ანგარიშის გაზრდის საუკეთესო საშუალება, ხოლო „ნეფტიანიკის" თავდამსხმელმა მარქაროვმა მეტად ეფექტური დარტყმით აღუდგინა თავის გუნდს წონასწორობა — 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებმა გაიმეორეს თავიანთი მძლავრი შეტევა და კალოევმა კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. მასპინძლები კარგა ხანს ფლობდნენ ინიციატივას და დინამოელთა კართან საკმაოდ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მცველთა მოფიქრებული, ზუსტი ურთიერთმოქმედების შედეგად ყველა ეს იერიში უშედეგოდ დამთავრდა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა თბილისელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს „ნეფტიანიკის" კართან და ბარქაიამ შესანიშნავი დარტყმით განამტკიცა თბილისელთა დამსახურებული გამარჯვება — 3:1.

„დინამო" აღნიშნულ მატჩში გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: ლეჟავა, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, დათუნაშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი.



„კოლხიდა" (ფოთი)-
„პამირი" (ლენინაბადი) — 0:2

განვლილ კვირას, 18 აგვისტოს, ფოთში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ფოთის „კოლხიდა" და ლენინაბადის „პამირი".

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:0 „პამირის" სასარგებლოდ.

„ლოკომოტივი" (თბილისი)-
„სტროიტელი" (აშხაბადი) — 2:0

ამავე დღეს თბილისში თამაშობდნენ ზონის ლიდერი — ადგილობრივი „ლოკომოტივი" და აშხაბადის „სტროიტელი".

სტუმრებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ლიდერს. „სტროიტელმა" თავიდანვე აქტიურად წარმართა თამაში და პირველი ტაიმის განმავლობაში ბრძოლას თანაბარი ხასიათი ჰქონდა. კიდევ მეტიც, აშხაბადელებს გააჩნდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაეხსნათ ანგარიში, მაგრამ უშედეგოდ.

ასევე აქტიურად თამაშობდა „სტროიტელი" შესვენების შემდეგ და იყო მომენტი, როცა მასპინძელთა მეკარე პირისპირ დარჩა მოწინააღმდეგე თავდამსხმელის წინაშე და შეძლო უაღრესად სახიფათო მომენტის გადარჩენა.

მაინც ლოკომოტიველებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს მეორე ტაიმი. მათი დაცვა უფრო ზუსტად თამაშობდა ვიდრე შესვენებამდე, ხოლო თავდასხმაში სისტემატურად იქმნებოდა გოლის გატანის შესაძლებლობანი.

პირველი ბურთი გატანილ იქნა ახალკაცის მიერ — 1:0. შემდგომში კუთხური მოწოდების მერე „სტროიტელის" კარში აღმოჩნდა კიდევ ერთი ბურთი და თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

სურათზე: სსრ კავშირის 1963 წლის თასის მფლობელი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი".

ფეხბურთის მინდვრებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპამ გაიმარჯვა!

საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის იურიდიული კომისია, რომელსაც უცხოეთში „რაიმონ კოპას სამსჯავრო“ უწოდეს, 3 საათის განმავლობაში განიხილავდა ამ გამოჩენილი ფეხბურთელის საქმეს. ლიგა ბრალს სდებდა რ. კოპას მასში, რომ მან თავის წერილებში ფრანგ პროფესიონალ ფეხბურთელთა მდგომარეობას უწოდა „XX საუკუნის მონობა“.

რ. კოპამ გააპროტესტა კომისიის უფლებამოსილება და მას წინააღმდეგ აღძრულ საქმეს უსამართლო უწოდა, ვინაიდან „რეიმსის“ კლუბის დირექტორატს, სადაც რ. კოპა თამაშობს, არავითარი პრეტენზია არა აქვს ზემოაღნიშნულ წერილებზე. მოსამართლენი ცდილობდნენ დაეყოლიებინათ რ. კოპა კომპრომისზე. მაგრამ ფეხბურთელმა უკან არ წაიღო არც ერთი თავისი სიტყვა: „ყველაფერი, რაც დავწერე, გავაკეთე ჩემი მეგობრების, პროფესიონალი ფეხბურთელების ინტერესებისათვის“. რ. კოპამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ აღმაშფოთებელია, ფეხბურთელი 35 წლამდე იმყოფებოდეს ჰავშვობაში დადებული კონტრაქტის მონად.

იურიდიული კომისიის წევრები არ ელოდნენ ასეთ სიმტკიცეს ფეხბურთელისაგან, რომლის სიტყვებმა უდიდესი რეზონანსი ჰპოვა საერთაშორისო ფეხბურთში. გარდა ამისა, პროფესიონალ ფეხბურთელთა პროფკავშირმა დადგენილება გამოიტანა, რომ იგი კვლავ მოახდენდა გაფიცვას, თუ რ. კოპა დაისჯებოდა.

საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მათ აღიარეს, რომ რაიმონ კოპას უაღრესად დიდი ამაგი მიუძღვის ფრანგული ფეხბურთის წინაშე, ამიტომ მას მიეცა დისკვალიფიკაცია მხოლოდ 6 თვით და ისიც პირობით.

რაიმონ კოპამ გაიმარჯვა, მაგრამ ბრძოლა XX საუკუნის მონობისაგან თავის დასაღწევად ფრანგულ პროფესიულ ფეხბურთში კვლავ გრძელდება.

ავსტრიაში ტარდება შეჯიბრება საწყლოსნო სლალომში, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულთა შორის. სპორტსმენს სჭირდება დიდი გამოცდილება და ოსტატობის გამოვლინება, რათა შეუცდომლად გაიაროს ყველა კარი.

სურათზე: შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი შერეულ წყვილთა შორის.

ფარდა ეხდება

[illegible] მოკრივის

გ. სამსონაძე

პრაღაში ჩასვლის პირველივე დღეს მივატოვე ჩვენი ტურისტული ჯგუფის ამხანაგები და ირჟის ვეწვიე, რომელსაც აქამდე მხოლოდ მიწერ-მოწერით ვიცნობდი.

ორივენი სპორტული ტრავმატოლოგიის საკითხებზე ვმუშაობდით და მინდოდა ზოგი რამ გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის. ირჟიმ დიდი ხნის უნახავი მეგობარივით მიმიღო და გულთბილ საუბარში გართულებს საღამო მონადირესავით წამოგვეპარა.

ირჟიმ ჩემდა მოულოდნელად სპორტის სასახლეში წასვლა შემომთავაზა, სადაც მოკრივეთა საერთაშორისო შეხვედრა ტარდებოდა. მან წერილებით იცოდა ჩემი კრივით გატაცების ამბავი და მასპინძლის ალღომ კიდევ ერთი სიამოვნება მომგვარა.

მოგვიანებით შესულებმა გულშემატკივართა სტვენასა და ღრიანცელში ძლივს მივაღწიეთ ჩვენს ადგილამდე. რინგზე საშუალო წონის

★

მოკრივეები იბრძოდნენ. ანგარიში „სწორი“ იყო და მათზე იყო დამოკიდებული, რომელი გუნდი მოიპოვებდა უპირატესობას — ჩეხოსლოვაკიისა თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის.

ტექნიკურსა და სწრაფ გერმანელს, რომელსაც ორ რაუნდში საგრძნობი უპირატესობისათვის მიეღწია, მესამის დასაწყისში წარბი დაზიანებოდა. გუნდი დამარცხების საფრთხის წინაშე იდგა და სპორტსმენი ახლა პლასტირდადებული აგრძელებდა ბრძოლას.

ჩეხ მოკრივეს გადამწყვეტი რაუნდისათვის შემოენახა ძალა და ახლა გაორკეცებული ენერგიით უტევდა. მეტოქეს, რომელიც გახეთქილი წარბის შიშით მთლიანად დაცვაზე გადასულიყო.

ნოკაუტი ყოველწამს იყო მოსალოდნელი, მაგრამ პლასტირის თეთრი ჯვარი, რომელიც მკვეთრ სამიზნესავით მოჩანდა გაწითლებულ სახეზე, კვლავ ხელშეუხებელი რჩებოდა.

რაუნდის უკანასკნელ წამებზე ჩეხმა მოხდენილი ყვინთვით აიცდინა მეტოქის დარტყმა და კლინჩში შესული გერმანელის სახე გვერდითი დარტყმის გარდაუვალი საფრთხის წინ აღმოჩნდა.

ნოკაუტი გარდუვალი იყო, მაგრამ ჩეხმა მოქნეულ მარჯვენას მიმართულება შეუცვალა და თეთრი პლასტირი კვლავ შეულებავი დარჩა.

იგრიალა ტაშმა. ბოლო რიგებში მსხდომი მაყურებლები კი მიხვდნენ მოკრივის დიდსულოვნებას და როცა გონგმა მეტოქეები გაყარა, რინგის დაჭიმულ ბაგირს უზარმაზარი სხეული გადაევლო. ეს იყო გერმანელთა გუნდის მწვრთნელი, რომელმაც მკერდში ჩაიკრა გაოფლიანებული მოკრივე და დამტვრეული ჩეხურით სხაპა-სხუპით ამბობდა სამადლობელ სიტყვებს.

სადღაც გადაჭარბებულად მეჩვენა მადლობის ამგვარად გამოვლინება; მინდოდა აზრის სისწორე ირჟისაც დაედასტურებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა; იგი უკვე მაყურებელთა შორის მიალაჯებდა და შეშლილივით ყვიროდა „ოტო“, „ოტოო“.

სახელის გაგონებაზე გერმანელი ჩვენსკენ შემოტრიალდა, გაკვირვებული თვალებით დაუწყო ლოდინი კაცს, რომელსაც, როგორც ჩანს, პირველად ხედავდა.

—ოტო! დახაუ, ოტო!,—გერმანელის ხელის ნჯღრევით ცდილობდა ჩემი მასპინძელი სტუმრის მეხსიერებაში თავისი სახის ამოტივტივებას.

„მედიკი!“ — ამოიხრიალა მწვრთნელმა და ირჟის გამხდარი სხეული უეცრად გაუჩინარდა მის ვეება მკლავებში.

აი რა მიამბო ირჟიმ მეორე დღეს:

—დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის ისტორიაში ეს ალბათ ერთადერთი გასროლა იყო, რომელსაც სიკვდილი არ მოჰყოლია და არ მოჰყოლია მაშინ, როცა მას ყველაზე მეტად ველოდით.

ერთ-ერთი ჩხრეკის დროს ბარაკში ჩვრებში შეფუთული ჩვილი იპოვნეს. ამ ამბავმა ისე გააცოფა ისედაც გავეშებული კომენდანტი, რომ დედაშვილის დახვრეტის შემდეგ ახალშობილის დაფარვაში ეჭვმიტანილ ადამიანებს შორის ჯოჯოხეთური ლატარია გაათამაშა. — დაიხვრიტებოდა ყველა, ვინც ორი წუთის განმავლობაში ვერ შეძლებდა ფეხზე წამოდგომას ახმახი ზედამხედველის მუშტის შემოკვრის შემდეგ.

„ლატარიის“ თითქმის ყველა ბილეთი წამგებიანი იყო. ბულდოგის მსგავს წითური სახის ზედამხედველს, რომელსაც მეტსახელად „ბარბაროსას“ ვეძახდით, ხელი გავარჯიშებული ჰქონდა ტყვეების ცემაში. სხვებისაგან განსხვავებით ის არასოდეს ხმარობდა სპეციალურ შოლტს ტვირთქვეშ წამოქცეულთა წამოსაყენებლად. კომპენსაცია კუნძივით მძიმე მუშტების ხარჯზე ხდებოდა. იგი მარცხენა ხელით წამოაყენებდა ხოლმე დაცემულს და მარჯვენის ძლიერი დარტყმით გონებადაკარგულს აგდებდა ორიოდე მეტრს იქით.

კედელთან 15 კაცი გაგვამწკრივეს. „ბარბაროსა“ იმ წუთში მარცილა წააგავდა საკბილოს მოლოდინში დუჟმომდგარ ბულდოგს. სადისტს საშუალება ეძლეოდა თავისი ხელოვნება სხვებისათვისაც გაეცნო და იგი ისეთი სიამოვნებით მიუახლოვდა პირველ მსხვერპლს, თითქო ქალიშვილებს თავს აწონებდა და მკლავის ძალა განწირულ ადამიანზე კი არა, ჩვეულებრივ დინამომეტრზე უნდა გამოეცადა.

ხანშიშესული ჰაღარა მამაკაცის თვალებში უკვე დაესადგურა სიკვდილის შიშს და სანამ „ბარბაროსა“ ხელს გაიქნევდა, მან მოცელილივით ჩაიკეცა კედელთან.

გერმანელმა ზიზღით გადააფურთხა და ისეთი ძალით ამოჰკრა მუშტი მეორე მსხვერპლს, რომ მის მობრუნებას სულ ცოტა თხუთმეტი წუთი მაინც დაჭირდებოდა.

სეირის საყურებლად მოსულებში ქების შეძახილები გაისმა და როცა მუშტის მესამედ გაქნევას მორიგი ცდის პირის მონგრეული ქვედაყბის ხრჭიალიც მოჰყვა, შეძახილები ტაშმა შეცვალა.

სიკვდილის ცელი თანდათან მიახლოვდებოდა. ჩემი ფიზიკური მონაცემები მეტად საეჭვოდ მიმაჩნდა მოსალოდნელი დარტყმის შემდეგ ფეხზე წამოდგომისათვის.

სიკვდილს შერიგებული ვიყავი, მაგრამ, სადღაც შური ვიგრძენი გვერდით მდგომ შავწვერულვაშა მამაკაცისადმი, რომელსაც ჯვალოს ქეშით, ერთი-ორი ნომრით დიდი შაზარაც კი ვერ უფარავდა განიერ მხარბეჭს.

„ბარბაროსამაც“ იგრძნო, რომ ღირსეულ მეტოქესთან ჰქონდა საქმე. მან ერთი ნაბიჯით დაიხია უკან, კბილები გააჭრჭიალა და მოქნეულ მუშტში მთელი თავისი ცხოველური ძალა ჩააქსოვა.

ძალუმად აქნეულმა მარცხენამ დროულად უვნებელყო მარჯვენა პირდაპირი დარტყმა და საპასუხოდ მოქნეულმა გამხმარმა მუშტმა საბარგულიდან გადმოვარდნილ სავსე ტომარასავით გააგორა ძირს გრძნობადაკარგული „ბარბაროსა“.

იმავე წამს გაისმა რევოლვერის ხმა, მაგრამ მას ამჯერად სიკვდილი არ მოჰყოლია. ახალგაზრდა ტანადმა ოფიცერმა ხელი უკრა მებადრაგეს და პარაბელუმის ტყვიამ ბარაკებს გადაუარა.

მომდევნო წუთში ოფიცერმა ორი ნახტომით დაფარა მანძილი ტყვემდე და მუცელში ფეხის გარტყმით „ბარბაროსას“ გვერდით დააწვინა იგი.

შემდეგში ტყვეს სახე აღარ გამოჩენილა, ოფიცერმა და ოთხმა მებადრაგემ ფეხქვეშ გაიგდო უძრავი სხეული და მისი თელვა მანამდე არ შეწყდა, სანამ გაპრიალებული ჩექმები სისხლმა არ შესვარა.

(გაგრძელება იქნება)

21 – 22
აგვისტო
„დინამოს“ სტადიონი
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასი)
„დინამო“ (თბილისი) - „შახტიორი“ (დონეცკი)
21 — დუბლშემადგენლობანი.
22 — ძირითადი შემადგენლობანი,
დასაწყისი 17 ს. 30 წ.

რედაქტორი О. უგულავა.

21 აგვისტო
სპორტის სასახლე
საერთაშორისო შეხვედრა
ძიუ-დოში
სსრ კავშირი-იაპონია
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09,
გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 06034